საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი

ბრძანება N34

ბათუმი

27 აგვისტო 2024 წ.

უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის სამუშაო აღწერილობა, თანახმად N1 დანართისა.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობების გაცნობა უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანების ასლის სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან (ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა N37) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჭურკვეიძე

დანართი N 01

„დამტკიცებულია“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის
2024 წლის 27 აგვისტოს N34 ბრძანებით

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა

დაწესებულების დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	
დაწესებულების მისამართი	ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N37	
საფოსტო ინდექსი	6004	
სტრუქტურული ერთეული	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის აპარატი	
ქვესტრუქტურა	არა	
თანამდებობა		
თანამდებობის დასახელება	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	
კატეგორია	რანგი	ზღვრული სპეციალური წოდება
II	III	არა
უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება)	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი	
უშუალოდ დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულთა რაოდენობა	არა	
უშუალოდ დაქვემდებარებულ თანამშრომელთა რაოდენობა თანამდებობათა აღნიშვნით	არა	
თანამშრომლის არყოფნის პერიოდში მის მოვალეობას ასრულებს	არა	
სამუშაო გრაფიკი (განაკვეთი, დაწყება, დამთავრება, შესვენება) და სპეციფიკური პირობები	სრული განაკვეთი სამუშაო საათები: 9:00-დან 18:00-მდე შესვენება: 13:00-დან 14:00-მდე	

ფუნქციები (მოვალეობები)
სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შესაბამისად სხვადასხვა დოკუმენტის პროექტების მომზადება და მათ შინაარსზე პასუხისმგებლობა
ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი დავალების შესაბამისად
კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა კომპლექსური გადაწყვეტილების განხილვაში მონაწილეობა და შუალედური გადაწყვეტილებების მიღება
სტრუქტურულ ერთეულში შემოსული კორესპონდენციების (წერილი, განცხადება, საჩივარი), დამუშავება და მათზე პასუხის შესაბამის ფორმაში მომზადება
შესაბამის ელექტრონულ სისტემაში (მატერიალური და არამატერიალური დოკუმენტაციის) მონაცემების სრულად ასახვა
შეფასების/პროფესიული განვითარების პროცესებში მონაწილეობა
ხელმძღვანელის მიერ და დებულებიდან გამომდინარე სხვა დავალებების შესრულება
დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას ურთიერთობა აქვს (შიდა და გარე)
არა
ანგარიშგება
ყოველწლიურად. ასევე, მოთხოვნის შესაბამისად

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება	
აუცილებელი:	**სასურველი:**
პროფესიული განათლების დონე :	**პროფესიული განათლების დონე :**
ბაკალავრის ხარისხი	მაგისტრის ხარისხი
განათლების სფერო:	**განათლების სფერო:**
იურისტის, ფინანსისტის ან/და ეკონომისტის კვალიფიკაცია	იურისტის, ფინანსისტის ან/და ეკონომისტის კვალიფიკაცია
დამატებითი ლიცენზიები, სერტიფიკატები:	**დამატებითი ლიცენზიები, სერტიფიკატები:**
არა	არა
ცოდნა	
პროფესიული ცოდნა	**პროფესიული ცოდნა**
არა	არა
კომპიუტერული პროგრამები / ცოდნის დონე	**კომპიუტერული პროგრამები / ცოდნის დონე**
WORD / კარგი	არა

უცხო ენები / ცოდნის დონე	უცხო ენები / ცოდნის დონე
არა	არა
სხვა	სხვა
გამოცდილება	
აუცილებელი:	**სასურველი:**
სამუშაო გამოცდილება:	**სამუშაო გამოცდილება:**
1 წელი	2 წელი
გამოცდილების სფერო:	**გამოცდილების სფერო:**
სპეციალობით ან/და შესაბამის სფეროში/დარგში მუშაობის გამოცდილება	არა
ხელმძღვანელობის გამოცდილება:	**ხელმძღვანელობის გამოცდილება:**
არა	არა
კომპეტენციები და უნარები	
ანალიტიკური აზროვნება გუნდური მუშაობა დაგეგმვის და ორგანიზების უნარი აქტიური მოსმენა შედეგზე ორიენტაცია	

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

სახელი, გვარი ----------

ხელმოწერა ----------

თარიღი ----------